საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/399

---15--- აპრილი, 2022 წელი ქ. ბათუმი

,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 ოქტომბრის № 01-08/553 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტ ლალი გერსამიას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 20 აპრილის N06-01/35 დადგენილების, ,,უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის უფროსის, ი. ქერქაძის 2022 წლის 12 აპრილის MES 4220000377675, 2022 წლის 14 აპრილის MES 7220000389837 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ,,სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის„ სადოქტორო პროგრამის სტუდენტ ლალი გერსამიას (პ/ნ _____) 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის გამო შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და ,,2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 6 ოქტომბრის №01-08/553 ბრძანებაში შევიდეს დამატება,** კერძოდ, ბრძანების N1 დანართს დაემატოს **მე-60 გრაფის სახით ჩანაწერი ლალი გერსამიას შესახებ** და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ	ინფორმაცია მიმღები უსდ-ს შესახებ

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ			ინფორმაცია მიმღები უსდ-ს შესახებ			
№	სახელი გვარი	პირადი ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამა	საფეხური	ფაკულტეტი	დასახელება
60	ლალი გერსამია		არქიტექტურა	დოქტორანტურა	არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. წინამდებარე ბრძანება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბრძანებაში რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს (განათავსოს სტუდენტის პირად საქმეში), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30), მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**